ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1598769

ნომერი: AR1266081

თარიღი : 15.11.2014

გაცემის თარიღი : 17.11.2014

გაცნობის თარიღი : 18.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , შიდა კვარტალში , N101-ე სკოლის მოპირდაპირედ , (ნაკვეთი N34) / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , (ნაკვეთი N32) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯაბა ნოზაძე პ/ნ 57001016740
- ა. ყაზბეგის 34-ის შიდა კვარტალი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 07.02.2014წ. #1112134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 15ნოემბერს #AR1266081 განცხადებით მომართა ჯაბა ნოზაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 07.02.2014წ. #1112134 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.02.2014წ. #1112134 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი–ვაკე, გამზირი ალ. ყაზბეგი, N34, შიდა კვარტალში, N101–ე სკოლის მოპირდაპირედ (ნაკვ. N34) / ქ. თბილისი, გამზირი ალ. ყაზბეგი, N34, (ნაკვ. N32)–ში, შპს "ლ.დ. დეველოპმენტი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.042.207) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 07 თებერვლიდან 2016 წლის 07 თებერვლის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.02.2014წ. #1112134 ბრძანებაში არასწორად აისახა ცალკეული ფართების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი, კერძოდ, საერთო ფართობი 3617.1 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 3486.5 კვ.მ.–ს, ხოლო საზაფხულო ფართობი 736.8 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 606.2 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელები შეესაბამება შეთანხმებულ გეგმა–ნახაზებს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.02.2014წ. #1112134 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 3486.5 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართობად მიეთითოს 606.2 კვ.მ.
2.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.02.2014წ. #1112134 ბრძანებასთან ერთად;
3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.